14

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 26/00 „ 18 " ივნ 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჯერენაშვილი

„18 ---------- ივნ ----------" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური (კამერალური) აუდიტი
პერიოდი: 01/01/09-01/01/10

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

15

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური(კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ.2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ.3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ.4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.4
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.5
1.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;	გვ.7
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.8
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება	
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.8
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ.9
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.9
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები. დანართი	A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები. დანართი	B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №39/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს მთავრობის კანცელარია (ორგანიზაციული კოდი 1100). იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, 0134. პ. ინგოროყვას №7. ტელ: (+995 32) 983908, ფაქსი: 989702, www.goverment.gov.ge

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი); აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

საქართველოს მთავრობის კანცელარია - კანცელარია;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სამინისტრო.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის კანცელარია თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის პირობების შექმნა;
- სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზების ხელშეწყობა;
- სოციალ–ეკონომიკური და სხვა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობასა და მონიტორინგს;

- მინისტრებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა აქტების გაუქმების შესახებ დასკვნების მომზადებას;
- საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების, საქართველოს პრემიერ–მინისტრის ბრძანებათა პროექტის მომზადებასა და სამართლებრივ ექსპერტიზას;
- საქართველოს პრემიერ–მინისტრის საქმიანობის ინფორმაციულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფას;
- საქართველოს პრემიერ–მინისტრის ურთიერთობას საქართველოს პარლამენტთან, სახელმწიფო დაწესებულებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ინსტიტუტებთან.
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი.
- კანონპროექტების მომზადება და სხვა.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბიუჯეტის წარდგენისა და დამტკიცების მდგომარეობა განხორციელებულია არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით.

მთავრობის კანცელარიას 2009 წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა 92,6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წლის განმავლობაში შემცირდა 71,0 ათასი ლარით, ხოლო გაიზარდა 0,4 ათასი ლარით და 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 22,0 ათასი ლარი.

კანცელარიას ფინანსური ანგარიშგება სახაზინო სამსახურისათვის წარდგენილი აქვს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.

19

III. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრების და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის №139 დადგენილებით კანცელარიას კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 330 საშტატო ერთეულით, ასიგნებების ზღვრული მოცულობა კი 12 000.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო განაცხადი წარმოდგენილ იქნა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად 2008 წლის 15 აგვისტომდე.

2008 წლის 25 დეკემბერს № 252 დადგენილებით ცვლილება შევიდა წინა დადგენილებაში და კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 250 საშტატო ერთეულით, ხოლო ასიგნება 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეული იქნა შტატების შემცირებით(საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2008 წლის N120 ბრძანება).

მთავრობის კანცელარიას 2009 წლის ასიგნების მთლიან მოცულობაში ფინანსთა სამინისტროს თანხმობით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

/ათას ლარში/

მუხლებს შორის გადანაწილება		თანხა
სხვა ხარჯები	25.02.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №40	25,0
საქონელი და მომსახურება		-25,0
საქონელი და მომსახურება	25.06.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №72	–34,6
სხვა ხარჯები		34,6
სხვა ხარჯები	04.09.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №79	-200,0
საქონელი და მომსახურება		200,0
სხვა ხარჯები	18.09.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №84	–200,0
საქონელი და მომსახურება		200,0
სხვა ხარჯები	05.11.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების	–350,0

საქონელი და მომსახურება	ცნობა №116	350,0
სხვა ხარჯები	24.11.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №132	–22,5
საქონელი და მომსახურება		22,5
სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯები	24.11.2009 ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №167	–95,5
კანცელარიის სხვა ხარჯები		95,5

აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 51^3-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მუხლობრივი გადანაწილების მოცულობა არ აღემატება მთლიანი ასიგნებების 10%-ს.

ბ)დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

ეკონომიური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლობრივმა გადანაწილებამ მიიღო შემდეგი სახე: (იხ. ცხრილი №1)

/ათას ლარში/

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურსა და საკასო ხარჯებს შორის
მთლიანი ასიგნება	8 700.0	9 102.8	8 574.7	8 473.4	8 471.1	9 246.2	775.1
შრომის ანაზღაურება	4 092.8	4 092.8	4 092.8	4 092.7	4 092.7	4 092.7	-
თანამდებობრივი სარგო	4 092.8	4 092.8	3 352.8	3 352.7	3 352.7	3 352.7	-
პრემია			740.0	740.0	740.0	740.0	-
საქონელი და მომსახურება	4 544.1	4 826.3	4 303.0	4 244.4	4 242.1	4 585.1	343
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	164.6	157.1	157.1	157.1	-
მივლინებები	-	-	1149.1	1114.5	1112.2	1183.1	70.9
ოფისის ხარჯები	-	-	1369.8	1358.2	1358.2	1663.6	305.4

წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	313.1	312.2	312.2	312.2	-
სამედიცინო ხარჯები	-	-	17.6	17.6	17.6	17.6	-
რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	-	-	2.7	2.7	2.7	2.7	-
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	360.4	360.4	360.4	327.1	33.3
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	925.4	921.3	921.3	921.3	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	432.1	432.1
სოციალური უზრუნველყოფა	63.1	63.1	63.1	41.6	41.6	41.6	-
სხვა ხარჯები	-	120.6	115.7	94.5	94.5	94.5	-
არაფინანსური აქტივები	300,0	300.0	295.3	295.3	295.3	295.3	-
მანქანა დანადგარები			279.1	279.1	279.1	279.1	
სხვა ძირითადი აქტივები			16.2	16.2	16.2	16.2	

ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 775,1 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ:

–„საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 343,0 ათასი ლარი შეადგინა. საიდანაც 70,9 ათასი ლარის სხვაობა მივლინების მუხლში განაპირობა წინა წლის გარდამავალი ხარჯის მოცემულ საანგარიშო პერიოდში ასახვამ.
„ ოფისის ხარჯებში“ 305,4 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია წინა წლის მატერიალური მარაგების ნაშთების მიმდინარე წლის ხარჯებში ჩამოწერით

„ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა–შენახვის ხარჯების“ მუხლში 33.3 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია საწვავის მარაგის ნაშთების ზრდით წლის დასაწყისთან შედარებით.

–„ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით ფაქტიური ხარჯი 432,1 ათასი ლარი გამოწვეულია აქტივების მიხედვით დარიცხული ცვეთის თანხით.

კანცელარიის პერსონალსა და მათ მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები:

ათას ლარებში

ხარჯი	ერთეული	2009 წლის ხარჯი (ათას ლარებში)	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	250	3352,7	1.1
მობილური ტელეფონით სარგებლობის ხარჯები	250	123,1	0.04
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	28	266,5	0.5
ტექმომსახურება	28	60,6	0.2

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

საქართველოს მთავრობის კანცელარიას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი აქვს მიზნობრივად შემდეგი ასიგნებები:

/ათასი ლარი/

№	მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზანი	თანხის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი
1.	ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა ხელოვნების ფესტივალის „მზერა“ გამართვის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის	მთავრობის განკარგულება №571 31.07.09	34.6	34.6	34.6
2.	„საქართველოს მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით 5 სექტემბერს დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის“	მთავრობის განკარგულება №646 04.09.09	200.0	200.0	200.0
3.	„საქართველოს მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით ქვეყნის მაშტაბით დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის“	მთავრობის განკარგულება №675 28.03.09	200.0	200.0	200.0
4.	საქართველოს მთავრობის ეგიდით გასამართი ღონისძიებებით „ანგარიში ხალხს“ დასაფინანსებლად	მთავრობის განკარგულება №792 30.10.09	350.0	350.0	350.0
5.	„საქართველოს პრემიერ მინისტრის ნიკა გილაურის ესპანეთის სამეფოსა და დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზიტის დროს სამთავრობო დელეგაციის თანმხლები ჟურნალისტების მივლინების ხარჯების დაფინანსებისათვეს“	მთავრობის განკარგულება №873 18.11.09	22.5	22.5	22.5
6.	„საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის N57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე–4 მუხლის 1/1 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს პრემიერ–მინისტრის უფლებამოსილების განხორციელებისათვის“	მთავრობის განკარგულება №375 28.03.09	95.5	74.3	74.3

2.ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საქართველოს მთავრობის კანცელარიას „არაფინანსური აქტივების“ მუხლით დამტკიცებული ჰქონდა 300,0 ათასი ლარი. ვალდებულებამ და საკასო ხარჯმა 295,3 ათასი ლარი შეადგინა. შეძენილი იქნა „სატრანსპორტო საშუალებები“ 97,9 ათასი ლარის, „სხვა მანქანა–დანადგარები და ინვენტარი“ 181,2 ათასი ლარის და „სხვა ძირითადი აქტივები“ 16,2 ათასი ლარის.(ვებ გვერდის შესადგენად, ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების შესაძენად და საკაბელო ქსელის აღდგენისათვის)
მთავრობის კანცელარიას, ეკონომიკის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე, რეგიონალური მართვის დეპარტამენტს უფასოდ გადაეცა 99,0 ათასი ლარის 4 ერთეული ა/მანქანა.

საანგარიშო პერიოდში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა:

ათას ლარებში

დავალიანების დასახელება	2009. წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010. წლის 1 იანვრისათვის	დავალიანების ცვლილება საანგარიშო პერიოდში	
			ზრდა	შემცირება
დებიტორული დავალიანება სულ	**92.6**	**22,0**	**0,4**	**-70,6**
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	–	–	–	–
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდები	4.3	4,7	0,4	-
მოთხოვნები მივლინებით	88.3	17,3	-	-71,0
კრედიტორული დავალიანება	**2.1**	**1,3**		**0.8**
ვალდებულებები მივლინებით	-	0,1	0.1	-
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	2.1	1,2	–	0,9-

მთავრობის კანცელარიას 2009 წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა 92,6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წლის განმავლობაში შემცირდა 71,0 ათასი ლარით, ხოლო გაიზარდა 0,4 ათასი ლარით და 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 22,0 ათასი ლარი.

ფინანსური ანგარიშები შედგენილია და მისი წარდგენა მოხდენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

24

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი	ხელმოწერა/თარიღი
თამაზ გურგენიძე	18.05.10 წ.
აუდიტორი გიორგი მშვილდაძე	18.05.1

დანართი A

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები:

ნუგზარ ქევხიშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე, საფინანსო – სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი;

ნაილი მამისაშვილი - მთავარი ბუღალტერი.

დანართი B

გამოყენებული კანონმდლობა და ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი „ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „ საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივნისის N437 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 თებერვლის N129 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.